

სპორტის განვითარების ხელშეწყობის
ღონისძიებები

საქართველოში გასამართი საერთაშორისო
სპორტული ღონისძიებების სახელმწიფო
მხარდაჭერის პროგრამა

პ რ ო ბ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოში გასამართი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე გამართვის მიზნით, ერთიანი პოლიტიკის გატარება, ფინანსური და შესაბამისი კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით შესაძლებელი გახდება საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციების რეიტინგში საქართველოს დაწინაურება, რაც გამოწვეული იქნება საქართველოში გამართული სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე მასპინძლობით.

პროგრამის განხორციელებით ასევე უზრუნველყოფილი იქნება: საქართველოში საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების ჩატარება და ღონისძიების ფარგლებში საჭირო სხვადასხვა სახის ინვენტარით და მომსახურეობით უზრუნველყოფა, მაღალ დონეზე ჩატარებული ეროვნული პირველობა და პროცესში ჩართული მაღალკვალიფიციური სუბიექტები; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მიერ საერთაშორისო ტურნირებზე გაუმჯობესებული პოზიციები.

პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017. დამთავრება-31.12.2017.

2. საერთო ღირებულება

სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს **5 000 000 ლარს**.

3. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

4. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგი:

ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენების პროფესიონალური შეფასება; გულშემატკივართა რაოდენობის მატება, საკლუბო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოში საერთაშორისო დონის ინფრასტრუქტურა, შედარება საბაზისო მაჩვენებლებთან;

ინდიკატორი:

- საერთაშორისო ასპარეზზე დაკავებული პოზიციების შედარება/შეფარდება გასულ/საბაზისო პერიოდში მოპოვებულ შედეგებთან;
- სპორტის სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებელი.